საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 3918-02
18/12/2018

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტიდან წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის კანდიდატთა(აკადემიური პერსონალი) და აკადემიური საბჭოს წევრობის კანდიდატთა არჩევნების ჩატარების თარიღისა და დროის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-11 და მე-14 მუხლების, მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 7 ნოემბრის №9 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო დებულების" მე-3, მე-4 და მე-7 მუხლების საფუძველზე, რექტორის 10 დეკემბრის N3823-02 და N3821-02 ბრძანებების გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტიდან** წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის(აკადემიური პერსონალი) კანდიდატთა და აკადემიური საბჭოს წევრობის კანდიდატთა არჩევნები ჩატარდეს 2018 წლის 20 დეკემბერს, 12:00 საათიდან 14:00 საათამდე (მის: ქ.ჩოლოყაშვილის გამზ.3/5, H კორპუსი, აუდიტორია 105);

2. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის(აკადემიური პერსონალი) კანდიდატთა არჩევნებში მონაწილეობს ფაკულტეტის ყველა აკადემიური პერსონალი.

3. აკადემიური საბჭოს წევრობის კანდიდატთა არჩევნებში მონაწილეობს ფაკულტეტის ყველა აკადემიური პერსონალი და ფაკულტეტის საბჭოს წევრი სტუდენტები.

4. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას დაევალოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის გაცნობა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისა და ფაკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტებისათვის;

5. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება;

6. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები რექტორის აპარატს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, იურიდიულ სამსახურსა და უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას.

გიგა ზედანია

რექტორი